პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ქომუნისტი

ორგანული ქართული

სამ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და ტფ. კომიტეტების და სამ. საკის ორგანო

ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

პარასკევი, 15 დეკემბერი 1933 წ. № 287 (3843)

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კავკასიის ორგანიზაციების საყურადღებოდ

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით ამიერ-კავკასიის მე-7 პარტყრილობის გახსნა დანიშნულია 1934 წლის 15 იანვრისათვის.

VII ყრილობის დღის წესრიგი:

1) **საანგარიშო მოხსენებები:**
საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის — მომხსენებელი ამხ. **ლ. ბერია.**
საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო საკ. კომისიის—მომხ. ამხ. **დოგადოვი.**
ა.-კ. სამხ. კომიტეტის სარევიზიო კომისიის—მომხს. ამხ. **ა. ხაჩიევი.**
2) **აზერბეიჯანის სსრ-ს ნავთის მრეწველობის ამოცანები და ღონისძიებანი 1934 წ. გეგმის შესასრულებლად — მომხს. ამხ. პეტერსონი, სლუცკი, ნიკიტინი.**
3) **არჩევნები.**

წარმომადგენლობის ნორმა და არჩევნების წესი:

1) 1 დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის 300 წევრისაგან, 2) 1 დელეგატი სათათბირო ხმით 600 კანდიდატისაგან, 3) არჩევნები ხდება რესპუბლიკურ პარტიულ ყრილობაზე.

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ლ. ბერია

ტრანსპორტი—მთელი რესპუბლიკის საქმე

ზამთარია. რკინისგზის ტრანსპორტს მუშაობა უხდება მეტად საპასუხისმგებლო პერიოდში. გზის წინაშე მთელი სიმწვავით წამოჭრილია თოვლთან და წყალდიდობასთან სისტემატიური და გეგმაშეწონილი ბრძოლის ფრიად სერიოზული ამოცანა. პირველმა თოვლმა, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინისგზის აღმოსავლეთ უბანზე ნოემბრის ბოლოს მოვიდა, ხადჭყო, რომ გზა არ არის მზად ზამთრისათვის, თოვლის ნამქერებთან საბრძოლველად. 30 ნოემბრის შემდეგ, უმთავრესად სწორედ ზამთრისათვის მოუმზადებლობის გამო, რაც საღალიანდაგო დარგის (უფროსი ამხ. **გ. დანდუროვი**) აშკარა უმოქმედობის შედეგია, ა.-კ. რკინისგზას მუშაობა უხდება განსაკუთრებით მძიმე პირობებში, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმის, რომ ყოველდღიური საწარმოო პროგრამის უმთავრესი მაჩვენებლები **არ** სრულდება.

ნოემბერში ა.-კ. რკინისგზის ძირითადი ამოცანა — 29.637 ცისტერნა ნავთის პროდუქტების გადაზიდვა, არ შესრულდა (გადაზიდულ იქნა მხოლოდ 23.406 ცისტერნა ნავთის პროდუქტები). გაუთვალისწინებელია ამ მოუმზადებლობით და გზის ზოგიერთი მუშაკის დანაშაულებრივი დაუდევრობით აიხსნება ის გარემოება, რომ ორივე რაიონში სუსტად ტარდება ბრძოლა თოვლის ნამქერებისა და წყალდიდობის წინააღმდეგ. გზის პირველი რაიონის პოლიტგანყოფილების უფროსის **ამხ. ნესტეროვის** წერილიდან, რომელიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ გუშინ „კომუნისტში", ცხადად ჩანს ეს. პირველი რაიონის ოთხივე დისტანცია მოუმზადებელია ზამთრისათვის, **არ** ჰყავთ თოვლთან და წყალდიდობასთან **საბრძოლველად** საჭირო საკმაო მუშა-ხელი, **არ** აქვთ მომზადებული ბინები, არ მოუმარაგებათ სპეციტანსაცმელი, ამ რაიონის ზოგი კოლმეურნეობა არ ასრულებს ხელშეკრულებას ტრანსპორტისათვის მუშა-ხელის მიწოდების შესახებ.

რკინისგზის ტრანსპორტის საქმე **მთელი ჩვენი ქვეყნის საქმეა.** ამ მხრივ აღსანიშნავია ბორჩალოს მაგალითი. ამ რაიონის კოლმეურნეებმა დადვეს ხელშეკრულება გზისმეორე რაიონის პოლიტგანყოფილებასა და მეცამეტე დისტანციასთან, იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი გზისათვის დახმარების აღმოჩენის დარგში. ისინი პირნათლად ასრულებენ ამ ვალდებულებებს, ეხმარებიან ტრანსპორტს ბრძოლაში, იმისათვის, რომ მან შეუფერხებლად იმუშაოს ზამთარში.

„კოლმეურნეებს არ შეუძლია — ვკითხულობთ ბორჩალოელ კოლმეურნეების მიერ გზის მეორე რაიონის პოლიტგანყოფილებასთან დადებულ ხელშეკრულებაში, — **განზე გადგენ და რკინისგზის ტრანსპორტს ყველაზე აქტიური დახმარება არ გაუწიონ. ახლა, ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით, ტრანსპორტს განსაკუთრებით ესაჭიროება კოლმეურნეთა ფართო მასების ერთსულოვანი დახმარება"**

რკინისგზის ტრანსპორტისათვის დახმარების გაწევა განსაკუთრებით ზამთარში, როცა საჭიროა ენერგიული ბრძოლა თოვლისა და წყალდიდობის წინააღმდეგ, **ყველა რაიონის, ყველა კოლმეურნეობის, ყველა კოლმეურნის და მშრომელის, მთელი ჩვენი რესპუბლიკის სახელისა და ღირსების საქმეა.** მხოლოდ ამ დიდი ამოცანის შეუგნებლობით შეიძლება აიხსნას ზოგი კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა უმოქმედობა რკინისგზისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში. ამას ადგილი აქვს მაგ., **სამტრედიის** რაიონის სოფ. **წიფნარის კოლმეურნეობაში** (გამგეობის თავმჯდომარე **ს. ნინუა**), რომელიც არ ასრულებს ხელშეკრულებას ტრანსპორტისათვის მუშა-ხელის მიწოდების შესახებ. მსგავს მოვლენას ვხვდებით **სენაკის** რაიონის სოფ. **სალამიოს სტალინის სახ. კოლმეურნეობაშიც** (გამგეობის თავმჯდომარე **კ. ლოლია**). მათ, ვინც იფერხებს რკინისგზის ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას, პარტია სასტიკ პასუხს მოთხოვს. ეს უხდა ახსოვდეს ყველას. ეს უნდა ახსოვდეს კერძოდ ტრანსპორტის იმ მუშაკებსაც, რომლებთანაც საქმე აქვთ გზაზე სამუშაოდ მოსულ კოლმეურნეებს და **რომელნიც ვალდებული არიან შექმნან ნორმალური პირობები ამ კოლმეურნეთა შენარჩუნებისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის.**

ეს ჭეშმარიტება კი რკინისგზის ბევრ მუშაკს სათანადოდ არა აქვს შეგნებული. იგი შეგნებული არა აქვთ კერძოდ გზის პირველ რაიონის პირველი დისტანციის (უფროსი **ამხ. ბურჯანაძე**), მეორე (უფროსი **ამხ. ვაშაკიძე**), მესამე (უფროსი **ამხ. ეპიტოვი**) და მეოთხე დისტანციის (უფროსი **ამხ. ურუშაძე**) მუშაკებს, რომლებმაც არ მოამზადეს სათანადო პირობები გზაზე სამუშაოდ მოსულ კოლმეურნეთათვის და ვერ შესძლეს თავიანთი დისტანციის ფარგლებში ბოლშევიკური ბრძოლა გაეჩაღებინათ თოვლის ნამქერების და წყალდიდობის წინააღმდეგ, სალიანდაგო მეურნეობის გასაჯანსაღებლად. ამის ადასტურებს ის ფასალები, რომლებიც ამ დისტანციების და საერთოდ გზის მუშაობის შესახებ გამოქვეყნდა გუშინ „კომუნისტში".

რკინისგზის ტრანსპორტს სჭირია კოლმეურნეთა, მთელი მოსახლეობის კონკრეტული დახმარება, კონკრეტულ უბნებსა და დარგებში, სჭირია დახმარება არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, **არამედ სისტემატიური, ყოველდღიური.** მას სჭირია მუშაობის ბოლშევიკური, სტალინური სტილი, რომელიც ახლა შემოაქვთ გზაზე პოლიტგანყოფილებებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს გზა იმუშაოს ნორმალურად, შესრულებული გეგმებით შეხვდეს საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-17 პარტყრილობას და საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-9 ყრილობას. პოლიტგანყოფილებები სათავეში უნდა ჩაუდგენ ამ დიდ მოძრაობას ტრანსპორტის ნორმალური მუშაობისათვის ზამთარში, კოლმეურნეთა სისტემატიური მიზიდვისათვის თოვლთან და წყალდიდობასთან საბრძოლველად. რკინისგზის პოლიტგანყოფილებებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ პირველად მომდინარე ზამთარში რკინის გზამ იმუშაოს შეუფერხებლად, იმუშაოს საათის მექანიზმივით.

„იზვესტიით დიმიტროვი, ტორგლერი, პოპოვი და ტანევი"

პარიზი, 13 დეკემბერი. „ლიუმანიტეს" ცნობით, ხვალ პარიზში და სფრანგეთის ყველა ქალაქში გაიმართება საპროტესტო მიტინგები რეიხსტაგისათვის ცეცხლწამკიდებაში დიმიტროვისა, ტორგლერისა, პოპოვისა და ტანევისათვის ბრალის დადების წინააღმდეგ. 19 დეკემბერს მთელს სფრანგეთში გაიმართება დემონსტრაციები ლეიპციგის პროცესის წინააღმდეგ. მიტინგები და დემონსტრაციები ჩატარდება ლოზუნგით: **„იზვესტიით დიმიტროვი, ტორგლერი, პოპოვი, და ტანევი".** ფაშიზმის მსხვრეულობა დამზმარე საერთაშორისო კომიტეტი ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციისადმი მიმართვაში მოუწოდებს პროტესტი განცხადოს ლეიპციგის პროცესის წინააღმდეგ და მონაწილეობა მიიღოს კამპანიაში ბრალდებულ კომუნისტების განთავისუფლებისათვის. ლეონლუმბა ვილარმა (საფრანგეთი), დიჩევმა და გალახერმა (შეერთებული შტატები), რომელნიც დაესწრენ პროცესს, წერილით მიმართეს ყველა ვეჭილს, სადაც აღნიშნავენ, რომ რეიხსტაგის ცეცხლწამკიდებლები არიან ნაციონალ-სოციალისტები, და მოუწოდებენ, კრებების მოწყობისა და საპროტესტო რეზოლუციების მიღებისაკენ.

ლონდონი, 13 დეკემბერი. როგორც კომპარტიის ორგანო „დეილი ფორკერი" აღნიშნავს, გერინგის ახალი მუქარა მოწმობს, რომ ბოლოდროინდელ რევოლუციონერებს სიკვდილით დასჯა მოელის. გაზეთი მოუწოდებს მასობრივ დემონსტრაციებისაკენ დიმიტროვის, ტორგლერის, ტანევის და პოპოვის დასაცავად, აღნიშნავს რა, რომ ეს მათი გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა, რემიდასი 17 დეკემბერს აწყობს საპროტესტო დემონსტრაციებს მთელს სახელმწიფოში (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის პრესა სიფხიზლისაკენ მოუწოდებს

პრაგა, 13 დეკემბერი. ლეიპციგის პროცესზე პროკურორის მომავალ გამოსვლასთან დაკავშირებით, ჩეხია-სლოვაკიის პრესა საზოგადოებრივობას მოუწოდებს სიფხიზლისაკენ. „პრაგერ მიტაგს" სტატიით, გერინგის საქციელი არ შეიძლება მიჩნეული არ იქნას პროცესში აშკარა ჩარევად. გაზეთის აზრით, ოთხი უდანაშაულო რევოლუციონერის, — ლეიპციგის პროცესის მსხვერპლთა გადასარჩენად ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დროულად ჩარევაში. ბრატისლავაში მუშებმა გერმანიის კონსულს პროტესტი განუცხადეს ბრატისლავის ყველა ქარხნის მუშების სახელით (ადს).

მანჯურელი მოხალეების და პოლიციელების უწესოება აღმ. ჩინეთის რკინის გზაზე

ხაბაროვსკი, 10 დეკემბერი. ბუხედუს სადგურზე მანჯურელი ოფიცრების უკანონო მოქმედებასთან და მანჯუელ იაპონელი მრჩეველის სატოს მიერ წვეის დარგის უბნის კანტორის პასუხისმგებელი მოსამსახურის — საბჭოთა მოქალაქის მარკოვსკის ცემასთან დაკავშირებით — 8 დეკემბერს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მშრომველმა ამხ. **რუდიმ სადგურ** ბუხედუში გაგზავნა ინჟენერი მოკ. ნესტეროვი ოფიციალური გამოძიების მოსასმენად. მაგრამ ბუხედუს სადგურის პოლიციამ არ გადმოუშვა ვაგონიდან იქ ჩასული ნესტეროვი და ვაგონთან დააყენა ჯარისკაცები.

ამხ. **რუდიმ** პოლიციის **უფროსს** გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც აღნიშნა, რომ პოლიციის თაობიდებმის პირია უხეშად ჩარევა გზის ოპერატიულ საქმიანობაში არღვევს ნორმალურ მოქმედებას და კატეგორიულად მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყვეტა პოლიციის აგენტების ძალადობა და სიშფოთეზე მიეცეს მოკ. ნესტეროვს მოსახდენოს ოფიციალური გამოძიება. ამასთან ერთად, ამხ. **რუდიმ** მომზდარი ამბავი მოახსენა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობას. უფრო მოგვიანებით ვაგონთან დაყენებული პოლიციელები მოხსნეს და ინჟენერი ნესტეროვი შეუდგა გამოძიებას.

9 დეკემბერს, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ბანდურამ გამგეობის თავმჯდომარეს ლი შაო-ჩენს გაუცხადა წერილობითი პროტესტი, სადაც ბუხედუში წვეის დარგის განყოფილებების საბჭოთა ხელმძღვანელების მოსმენა საბჭოთა ხელმოსაწერ ნესტეროვი ოფიციალურ გამოძიების ადგილზე. ამ ბანდურამ ეცნობა, რომ ეს ინციდენტი ადგილობრივ ხასიათისა ყოფილა. ამ ინციდენტის ბოლოს

პარტორგანიზაციების საანგ.-საგადარჩევო კამპანია

მოწინავე დამკვრელები ემზადებიან პარტიის XVII ყრილობისათვის

კომუნისტების სიტყვა და საქმე

(ტფილისი, 26 კომუნარის სახ. ქარხანა)

ლენინის რაიონის წარმოებათა მუშაა, მას იშვიათად შეამჩნევთ დაღლილობას ან მოწყენილობას. ის ყოველდღიურ დავალებას ასრულებს 120 პროცენტით.

პარტკოლექტივის ბიურო სისტემატიურად, კოიკრეტულ ხელმძღვანელობას უწევს საძქროებსა და ცალკეულ მუშებს, ამგვარი მუშაობის შედეგად—ქარხნის პარტუჯრედებმა ითავეს ხელმძღვანელი მუშაობა ძირეული პარტორგანიზაციების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ჩატარების გეგმა — დაამთავრა ბრწყინვალე გაძარჯვებით — საწარმოოთა დავალებათა შესრულების მაღალი მაჩვენებლებია.

ყველგან საამქროსა და ეიოგადებში გამოყოფილი არის 18 პარტჯგუფი და 8 პარტორგანიზატორი, პარტორგანიზატორების და პარტჯგუფორგანიზატორების ხელმძღვანელებად შერჩეულ იქნენ წინასწარ შემოწმებული ბოლშევიკები, რომლებიც საწარმოო ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

გუშინ დილით ქარხნის მუშები ჩვეულებრივად დანიშნულ დროზე გამოცხადდენ სამუშაოზე — ქარხნის თვალსაჩინო ადგილას გამოკიდული განცხადებები, რომელიც ამცნობ მუშებს, ქარხანაში 8 საათისათვის მოეწყობა მე-17 პარტყრილობის შესაბამოდ საზეიმო დიალოგი. სრულ 8 საათზე საამქროებში ჩატარდა მე-17 პარტყრილობასთვის შესახებ ანგარიშები. მუშებს შეხვდენ ძველი ბოლშევიკები **დოგადოვი, ათარბეგოვი, ვაცეკ, გელაშვილი** და სხვები. დამკვრელი ბოლშევიკები ეხსნენ მოსულ სტუმრებს თავიანთ მუშაობის მაგალითებს ათიათეულობენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობას და სხვ.

ორჯონიკიძის სახ. ქარხნაში ფართოდ გაიშალა მზადება პარტორგანიზაციების გადარჩევებისათვის. **სურათზე:** ქარხნის პარტკოლექტივის ბიუროს მდივანი ამხ. ჩ. ...ოკოვი გადარჩევებზე ...ეგა-დაოგებას აძლევს საამქროს პარტორგ ამხ. ტ. მ. ...ლინს.

აჭარისტანის ბოლშევიკები ემზადებიან მე-17 პარტყრილობისათვის

ბათუმი, (საკ. კორ.) საქ. კ. პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტმა მთელი პარტიული ორგანიზაციის წინაშე დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ აჭაოისტანის მომავალია **ხაოლქო პარტიულმა კონფერენციამ მოიპოვოს მე-17 ყრილობაზე პატაკით მისვლის უფლება.**

საოლქო კომიტეტმა მტკიცე დავალება მისცა. **ბათომის ნავთის გადამამუშავებელ ქარხნებს** და ნავთსადგურს, ვადამდე გადაჭარბებით მეასრულონ წლიური საწარმოო გეგმები; ამავე დროს **ცენტრალურ ხის დამამუშავებელ ქარხანას და სამკერვალო ფაბრიკას** დაევალა **წუნდებული** პროდუქციის გამოშვების აღკვეთასთან ერთად **მთლიანად აღმოფხვრან ჩამორჩენა.** ზემოდ აღნიშნული ორი საწარმო **ყველაზე უფრო** ჩამორჩენილია 'აგ. სამკერვალო ფაბრიკის საერთო პროდუქციაში წუსი, შეადგენს 14 პროცენტს. ნოემბრის საწარმოო გეგმა ფაბრიკას შესრულებული აქვს 52 პრ.

პარტიის საოლქო კომიტეტმა ამავე დროს აღნიშნა ჩამორჩენა მეოთხე კვარტალის **ფინგეგმების** შესრულებაში და განსაკუთრებული ღონისძიებანი დასახა მათი გადაჭარბებით შესრულებისათვის.

აჭარისტანს დიდი და საპასუხისმგებლო დავალებები აქვს შესასრულებელი **საშემოდგომო - საზამთრო სამუშაოების** დარგში: **ჩაის ფრონტზე** — უნდა მოიკრიფოს დაბალი ხარისხის ჩაი 200 ტონა, დამზადდეს ლაო-ჩაი 280 ტონა, თესლი—292 ტონა, თესლი ზეთისათვის — 75 ტონა, უნდა ჩატარდეს ჩაის თესვა — რგვა — 77 ჰექტ., პლანტაციების აღდგენა—70 ჰექტ., პლანტაციებს კაპიტალური რემონტი—183,5 ჰექტ. მიმდინარე რემონტი—263,5 ჰექტ., საზამთრო გადაბარვა—1463 ჰექტ. და გასხვლა - გაფორმება — 1251 ჰექტ., მნიშვნელოვანი ამოცანები დგას თამბაქოს გასაშენებლად სათბურების მოწყობის, ციტრუსოვანი კულტურების აღება — შეფუთვის, თამბაქოს, მატყლის, ხორცის, და რძის ნაწარმის დამზადების დარგში.

ამ დავალებათა შესრულებით უნდა წარსდგეს აჭარისტანის პარტიული ორგანიზაციის ყრილობის წინაშე. ძირეულ პარტორგანიზაციების ანგარიშბარების და გადარჩევის მიმდინარე კამპანია — იმ შემოწმებაა, თუ როგორ იბრძოდა **და იბრძვის** პარტიული ორგანიზაციები ამ დავალებათა შესრულებისათვის:

მუშაობა საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიისათვის უკვე ჩაღდება — პარტიის, მე-17 ყრილობის საუკეთესო საჩუქარია — წლიური საწარმოო გეგმების შესრულება **ნავთის გადამუშავების დარგში.** ამ მოწოდებით მიმართეს ბათომის **ნავთის გადამამუშავებელმა ქარხნებმა** „საკ. ნავთს", რომელიც გამოიწვიეს სოცშეჯიბრებაში

გამოწვევა მიღებულია. ორთაგე საწარმოო ნავთზე მუშაობს, ორთავე—წამყვანია, ორთავე მუდამ მოწინავეთა რიგებშია დგაიან. ბათომის ნავთის გადამამუშავებელ ქარხნების კომკავშირელთა ბატაოეა მოწინავეა ამიერ - კავკასიაშიც. მან **წლიური დავალება 10 თვეში** შეასრულა. **7 დეკემბრისათვის კომკავშირელების საკუთო ბატარეამ** ქვეყანას გეგმას ზევით მისცა **70,404 ტონა გადამუშავებული ნავთი.**



ორჯონიკიძის სახ. ქარხანის საუკეთესო დამკვრელი ამხ. მენგბდაშვილი (პარტიის წევრი) მე-17 პარტყრილობისათვის იკისრა მაქსიმალურად გაუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი.

ბატარეას საუკეთესო დამკვრელებია **მოლაოლი** და **ცეცხლაძე.**

აჭარისტანმა ვადაზე ადრე (ვადაა 1 თებერვალი) და გადაჭარბებით შეასრულა **თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა.** გეგმით უნდა დამზადებულიყო 339 ტონა თამბაქო; დამზადებულია 348,2 ტონა; ამავე დროს გადაჭარბებითაა შესრულებული ფერმენტაციის გეგმა და გაუმჯობესებულია თამბაქოს ხარისხი.

თამბაქოს **დამზადება** გრძელდება.

*

ხულოს რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებმა გაშალეს მუშაობა იმისათვის, რომ ეხლავე ჩაატარონ და დასრულონ საზამთრო სამუშაოები, რომლებიც გაზაფხულზე უზრუნველყოფენ სამრეწველო თამბაქოს გაშენებას. სოფ. **ფაჩხის** კოლმეურნეობაში 600 კვ. მეტრზე მოაწყო თამბაქოს სანერგე. ასევე მოიქცენ სოფ. **ყინჯაურის, წაბლანას, ნენიათის, ფურტიობის,** ნიგაზეუნის და **ფაჩხათის** კოლმეურნეობებიც.

„ბლეხის გამარჯვება" — მოწინავე კოლმეურნეობათაგანია. მან 150.000 მანდარინის ნაცვლად საბელმწიფოს ჩააბარა 180.000 ცალზე მეტი მანდარინა და მთლიანად დასრულა ციტრუსოვანთა **შეფუთვა.**

მთლიანად დასრულა საზამთრო სამუშაოები ლიმონ - მანდარინის **კვირიკეს** საბჭოთა მეურნეობამ. მან 65 ჰექტარზე ჩაატარა ლიმონ-მანდარინის ნარგავთა შეფუთვა და 8 ჰექტარზე — მანდარინის პლანტაციების **რემონტი.**

***

ენერგიულად ემზადება საანგარიშო კამპანიისათვის **ოჩხამურის** საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობაში გამოიყო მე-17 **პარტყრილობის** სახელობის ბრიგადები, რომელსაც ხელმძღვანელობენ საუკეთესო დამკვრელები — ამხ. **გალავინი, ჭკუასელი, პოლშუკი** და **ბაშმინოვი;** ამ ბრიგადებმა იკისრეს უახლოეს დღეებში დაამთავრონ მთელი საშემოდგომო - საზამთრო სამუშაოები ჩაის დარგში

ამასთან მეურნეობაში მოეწყო **აგროტექნიკური** კურსები, რომელ ზედაც იმეცადინებს 50 **მუშა.**

აჭარისტანმა წელს საბჭოთა ქვეყანას უნდა მისცეს 67 მილიონი (ჯალი მანდარინი. მიუხედავად **იმისა,** რომ უკანასკნელ ხანებში მეტად ცუდი ამინდები დადგა, რაც აფერხებს კრეფას — 12 დეკემბრისათვის დამზადებული ყო 65 მილიონზე მეტი მანდარინა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ დავალება ვადაზე ადრე იქნება შესრულებული.

***

აჭარისტანის **პარტიული ორგანიზაციის** წინაშე დგას ამოცანა დროულად შეასრულოს დავალებები ჩაის დარგში. ამ მხრივ ჩამორჩენილია — **ბათომის რაიონი.**

რაიონს ჩაის პლანტაციების **მიმდინარე რემონტი** ჩასატარებელი აქვს 149,5 ჰექტარზე, პლანტაციების **საზამთრო გადაბარვა კი** —512 ჰექტ., რაც მეტად უმნიშვნელოა. აი ამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად უნდა დაირაზმონ ახლა ბათომის რაიონის კომუნისტები.

აჭარისტანის **კოლმეურნეობები** და საბჭოთა მეურნეობები, ბათომის ფაბრიკა - ქარხნები ეჯიბრებიან ერთმანეთს, იმისათვის, თუ ვინ მოხვდება მე17 პარტყრილობის სახელობის წითელ დაფაზე, ვინ შეასრულებს პირველად საწარმოო პროგრამას და დაიმსახურებს **მოწინავის** საპატიო სახელს.

დ. დუმბაძე.

ვიზრძვით წითელ დაფაზე მოხვედრისათვის

ძირეული პარტორგანიზაციების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის ჩატარებისათვის მოსამზადებელი მუშაობა სილნალის პარტრაიკომმა პირველ დეკემბრიდან დაიწყო. რაიონში 4 დეკემბერს პოლიტგასყოფილებისა და რაიკომის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა რაიონული თათბირი საყოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობების და საქნავთის პარტუჯრედთა მდივნებთან, პარტკომკავშირული ბირთვის ხელმძღვანელებთან, და მიმაგრებულ ამხანაგებთან ერთად.

თათბირზე დამუშავდა **საკ. კ. პ.** (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის დადგენილებები ძირეული პარტორგანიზაციის ანგარიშბარებისა და გადარჩევის წესების შესახებ, „პრავდას" მოწინავე წერილები და ამხ. ბერიას წერილი, „ა.-კ. ბოლშევიკები საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებათა რეალიზაციისათვის ბრძოლაში".

ამ საკითხზე ერთიანი პარტიული დღის მომზადებისათვის მიმაგრებული ამხანაგები 5 დეკემბერს გამოცხადდენ პარტუჯრედებში. მათ საკითხები წინასწარ დაამუშავეს პარტჯგუფებში და ბრიგადებში; ამის შემდეგ პარტიის ყველა უჯრედში 7 დეკემბერს ჩატარდა ერთიანი პარტიული დღე.

რაიონის საკოლმეურნეო პარტუჯრედებმა იკისრეს: სარემონტო კამპანიის დაწესებულ ვადაში დამთავრება, მოსავლისა და შემოსავლის განაწილება, აგროტექნიკური სწავლების მოწესრიგება და სხვ. ამ ვალდებულების შესრულებისათვის გაჩაღდა პრაქტიკული მუშაობა, აღრიცხულია შესაკეთებელი ყველა იარაღ - მანქანა. რაიონში პარტიული დღე ჩატარდა კომუნისტების აქტივობით და მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით. დასწრება დამაკმაყოფილებელი იყო. მაგალითად, რაიონში პარტიის 840 წევრიდან დასწრო პარტიის 790 წევრი, 1800 კომკავშირელი და 1500 უპარტიო. კამათში მონაწილეობა მიიღო 170 კაცმა.

სილნალის რაიონის ბოლშევიკები იბრძვიან ა.-კავკასიის წითელ დაფაზე მოხვედრისათვის.

მ. მესტიაშვილი.

კალენდარული გეგმა

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. რაიონის უჯრედების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ჩატარებისა

16 დეკემბერი

საწარმოო უჯრედები

ავიაჯეფოლობის ფაბრიკა
აბრეშუმის ფაბრიკა — 2 უჯრედი
„ზარია ვოსტოკა"-ს — 2 უჯრედი
ტელეფონი
კავშირგაბმულობის სახლ
სსფსვლელ სახელოსნო
ლენინის ქარხანა № 1
ლენინის ქარხანა № 3
საკავშირო ელექტროტრესტი
ეკონ-ეკონ ქარხანა
ბურთა ბ ...
საკვამ ტრესტი
ფოლადების ქარხანა
სახანძრო რაზმი
მე-2 სტამბა
ბოლკის ქარხანა
ლიტოგრაფია — 1 უჯრედი
პოლიტსამართველოს საალმშ. ბიურო
ა.-კ. წყლ-ს მეურნეობის აღმშენებლობა
1-ლი სკოლა
ქუჩის-ი სასტო
მკერავთა გაერთიანება
„ზარია ვოსტოკა"-ის გარაჟი
ავტორის ქარხნები — 2 უჯრედი
საქ. მტვირთავთა კავშირი

უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედები

ა.-კ. უმაღლესი სას.-სამ. კომ. სკოლა
არჩევნები 19 უჯრედის
საქ. უმაღლ. სას.-სამ. კომ. სკოლა 3 უჯრ.

17 დეკემბერი

საწარმოო უჯრედები

აგურის ქარხნები 2 უჯრედი
პოლიგრაფტრესტის საფ.-საქ. სკოლა
საქ. სატყეო ტრესტის საფ.-საქ. სკოლა
„ზარია ვოსტოკა" — 2 უჯრედი
ა.-კ. რადიომშენებლობა
ა.-კ. კავშირგაბმულობის სახელოსნოები.
სამკერვალო კომბინის აღმშენებლობა
საქ. სახკომსაბჭოს სტამბა
საქ. პოლიტსამმართველოს აღმშენებლობა
აბრეშუმის ქარხანა 3 უჯრედი
საჰაერო ტრანსპორტი
პოლიტსამმართველოს საალმშენებლო ეზო
მთავრობის სასახლ-ს აღმშენებლობა
სტალინის ინსტიტუტის აღმშენებლობა
საქართველოს მემი
საქ. სახკომსაბჭოს გარაჟი
ინვალიდთა კოოპერატიული კავშირი
ლიტოგრაფია — 3 უჯრედი
საქ. სან. ტექმშენი
სოც. უზრუნველყოფის კომისარიატი
საქ. ყურუ-მუნჯთა საზოგადოება
ტფილისის ავტოტრანსი
ტფილისის ავტოტრანსი
საქ. მტვირთავთა კავშირი

კო...პერატიული სემინარიები

ა.-კ. სახკომსაბჭოს დამზადების კომიტეტის რწმუნებული

უმაღლეს სასწავლებლებს

საქ. უმაღ. სას.-სამ. კომ. სკოლა 5 უჯრ.
ა.-კ. უმაღლ. სას.-სამ. კომ. სკოლა 3 უჯრ.
სახ. უნივერსიტეტი 3 უჯრედი
მედიცინიტუტი — 1 უჯრედი



ლენინის კონსტრუქციების ქარხნის საუკეთესო დამკვრელი, პარტორგი ამხ. მეტრეველი.

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცკ-ის და ბაქოს კომიტეტის დადგენილება

ბაქო, 14 დეკემბერი. აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცკ-ის და ბაქოს კომიტეტის პლენუმმა 10 დეკემბრის დადგენილებით გაანთავისუფლა ამხ. **რუბენი** აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცკ-ს და ბაქოს კომიტეტის პიროველი მდივნის მოვალეობ საგან, მისი საკ. კ. პ (ბ) ცკ-ის განკარგულებაში გაწვევასთან დაკავშირებით.

პლენუმმა აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცკ-ის და ბაქოს კომიტეტის პირველ მდივნად დაამტკიცა ამხ. მირ ჯაფარ ბაბიროვი.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ჰუსეინ რახმანოვი აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცკ-ის მეორე მდივნის მოვალეობისაგან, მისი აზერბეიჯანის ს. ს. რ. სახალხო კომისრის რწმუნებულად, ხოლო 1927 წლიდან მეთაურობს ა-კ. წყალთა მეურნეობას.

ამხ. ბაგიროვი იყო აზერბეიჯანის ცკ-ის რამდენიმე მოწვევის, მისი პრეზიდიუმის და საბჭოთა კავშირის ცაკის წევრი.

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) მესამე ყრილობ-ს შემდეგ ამხ. ბაგიროვი არჩეულ იქნა აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამ კომიტეტის ბიუროს წევრად, ა-კ. მეორე პარტყრილობის შემდეგ ამხ. ბაგიროვი ითვლება საკავშირო კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის წევრად და მისი ბიუროს წევრობის კანდიდატად.

საბრძოლო დასახურებისათვის ამხ. ბაგიროვი დაჯილდოვებულია წითელი დროშის ორი ორდენით.

1930 წელს ამხ. ბაგიროვი გიდაიის მოსკოვში სწავლის გასავრძელებლად და 1932 წელს ამოავრებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსზმ-ლენინიზმის კურსებს, რის შემდეგაც მუშაობდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ ინსტრუქტორად.

1932 წლის ოქტომბერში ამხ. მ. ჯ. ბაგიროვი ინიშნება აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე და ირჩევენ აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა შემადგენლობაში და საკავშირო კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის ბიუროში.

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ის აირჩია აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის პირველ მდივნად (ადს).

ამხ. მირ ჯაფარ ბაგიროვი

(ბიოგრაფიული ცნობები)

ამხ. მირ ჯაფარ ბაგიროვი დაიბადა 1897 წელს ქალ. კუბაში. ის წარმოიშვა ღარიბი ოჯახიდან. მძიმე მატერიალური პირობების გამო ამხ. **ბაგიროვმა** დიდი გაჭირვებით შეძლო 1913 წელს დაემთავრებინა კუბის საქალაქო სასწავლებელი. თავისი მასწავლებლების დახმარებით, რომელნიც მირ ჯაფარში ხედავდენ ერთ-ერთ ნიჭიერ მოწაფეს, ამხ. ბაგიროვი მიღებულ იქნა ქალაქ პეტროვსკში ორწლიან პედაგოგიურ კურსებზე, რომელიც დაამთავრა 1915 წელს და როგორც საუკეთესო კურსდამთავრებული დანიშნეს რკინის გზის საგურ ხუდატთან სოფლის სკოლის გამგეთ. შემდეგ ამხ. ბაგიროვი მასწავლებლობდა კუბის მაზრის ნაჯაფკენდის მთიან აულში და კუბის ორკლასიან სასწავლებელში.

თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ამხ. ბაგიროვი შედის პარტიაში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კუბის მაზრის საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში, მუშაობს რა პარტიული ორგანიზაციის საბჭოში. ბაქოს კომუნის დაცემის შემდეგ, 1918 წელს ამხ. ბაგიროვი წითელ არმიაში სამხედრო-პოლიტიკურ და სამხედრო - სასამართლო სამუშაოზე. 1921 წლის თებერვალში ბაგიროვი ინიშნება აზერბეიჯანის საგანგებო კომისიის (შემდეგ აზერბეიჯანის სახელმწიფო პოლიტსამმართველის) თავმჯდომარედ. მეთაურობს რა აზერბეიჯანის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს, ამხ. ბაგიროვი ამავე დროს მუშაობს როგორც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და გზათა სახალხო კომისრის რწმუნებული, ხელმძღვანელობს სხვადასხვა საგანგებო სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს (ბრძოლა კალიასთან, ბანდიტიზმთან, მუშობა დამრაიონებულ კომისიაში, საგზაო კომიტეტში და სხვ.). 1927 წლიდე ამხ. ბაგიროვი მუშაობს აგრეთვე როგორც აზერბეიჯანის ს.ს.რ.-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ვაჭრობის სახალხო კომისრის რწმუნებული, ხოლო 1927 წლიდან მეთაურობს ა-კ. წყალთა მეურნეობას.

ამხ. ბაგიროვი იყო აზერბეიჯანის ცაკის რამდენიმე მოწვევის, მისი პრეზიდიუმის და საბჭოთა კავშირის ცაკის წევრი.

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) მესამე ყრილობ-ს შემდეგ ამხ. ბაგიროვი არჩეულ იქნა აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამ კომიტეტის ბიუროს წევრად, ა-კ. მეორე პარტყრილობის შემდეგ ამხ. ბაგიროვი ითვლება საკავშირო კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის წევრად და მისი ბიუროს წევრობის კანდიდატად.

საბრძოლო დასახურებისათვის ამხ. ბაგიროვი დაჯილდოვებულია წითელი დროშის ორი ორდენით.

1930 წელს ამხ. ბაგიროვი გიდაიის მოსკოვში სწავლის გასავრძელებლად და 1932 წელს ამოავრებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსზმ-ლენინიზმის კურსებს, რის შემდეგაც მუშაობდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ ინსტრუქტორად.

1932 წლის ოქტომბერში ამხ. მ. ჯ. ბაგიროვი ინიშნება აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე და ირჩევენ აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა შემადგენლობაში და საკავშირო კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის ბიუროში.

აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ის აირჩია აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის პირველ მდივნად (ადს).

ამხ. უსეინ რახმანოვი

(ბიოგრაფიული ცნობები)

ამხ. უსეინ რახმანოვი დაიბადა ქალაქ ბაქოში მუშა-მეზეიმეთა ოჯახში. აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ამხ. **რახმანოვი** წითელი არმიის რიგებში აქტიურ მონაწილეობას იღებს ხანების, ბეგებისა და მუსავატისტების ბატონობის დამხობაში **განჯის** და ზაქათალის ოლქებში, 1920 **წლის** ბოლოს ამხ. **რახმანოვი** აქტიურ მონაწილეობას იღებს აზერბეიჯანის **კომკავშირის** ორგანიზაციაში. შემდეგ მუშაობს **კომკავშირში** სახელმძღვანელო სამუშაოზე. 1921 **წელს** ამხ. **რახმანოვს** ირჩევენ **კომკავშირის** ბაქოს **კომიტეტის** წევრად. 1922 **წელს** ირჩევენ **აზერბეიჯანის** ალკკ-ის ბალახანის **რაიკომის** მდივნად, 1923 **წელს**— **აზერბეიჯანის** ალკკ ცენტრალური **კომიტეტის** პირველ მდივნად. 1925 **წელს** ამხ. **რახმანოვს** ირჩევენ **საკავშირო** ალკკ-ის ა-კ. **სამხარეო** კომიტეტის მდივნად **და ამავე** დროს ირჩა საკ. კ. პ. (ბ) ა-კ. **სამხარეო** კომიტეტის ბიუროს **და** ა-კ. **ცაკის** წევრი. 1927 **წელს** იყო **საკავშირო** ახ. ლენინური **კომკავშირის** ცენტრალური **კომიტეტის** ერთერთი **მდივანი** **და** **საბჭოთა** **კავშირის** ცაკის **წევრი.**

1929 **წელს** ამხ. **რახმანოვი** **საკ. კ. პ. (ბ)** ცენტრალური **კომიტეტის** **დადგენილებით** **იგზავნება** **ბაქოში** **აზერბეიჯანის** **კ. პ. (ბ)** ცენტრალური **კომიტეტის** **მდივნად.** 1931 **წელს** **გაწვეული** **იქნა** **საკ. კ. პ. (ბ)** ცენტრალური **კომიტეტის** **განკარგულებაში** **და** **მუშაობდა** **პროფკავშირთა** **სრულიად** **საკავშირო** **ცენტრალურ** **საბჭოში.** 1932 **წელს** **ამხ. რახმანოვი** **შედის** **წითელი** **პროფესურის** **ინსტიტუტში.** 1933 **წელს** **საკ. კ. პ. (ბ)** ცენტრალური **კომიტეტის** **გადაწყვეტილებით** **ამ** **კვლავ** **იგზავნება** **ბაქოში** **საბჭოთა** **ცენტრალურ** **სამუშაოზე** **და** **აზერბეიჯანის** **კ. პ. (ბ)** ცენტრალური **კომიტეტის** **ჯერ** **მესამე,** **ხოლო** **შემდეგ** **მეორე** **მდივნად.**

აზერბეიჯანის ცენტრალური **აღმასრულებელი** **კომიტეტის** 1933 **წლის** 12 **დეკემბრის** **გადაწყვეტილებით** **ამხ. რახმანოვი** **ინიშნება** **აზერბეიჯანის** **ს.ს.რ.-ის** **სახალხო** **კომისართა** **საბჭოს** **თავმჯდომარედ** (ადს).

საბჭოთა კავშირი

საბჭოთა კავშირის წარმატებანი თბოფიკაციის დარგში

მოსკოვი, 13 დეკემბერი. „პრავდა" დიდ განყოფილებას უძღვნის ჩვენი ქვეყნის მიერ თბოფიკაციის დარგში მიღწეულ წარმატებათა გაშუქებას.

პარტიის მე-16 ყრილობიდან მე-17 ყრილობამდე განვლილ პერიოდში ამ მხრივ შესრულებულია დიდი მუშაობა 1931 წლის დასაწყისისათვის მოქმედ 40 თბოელექტროცენტრალი, რომელთა სიმძლავრე 200 ათას კილოვატს შეადგენს. ეს იყო პატარა სადგურები, რომელნიც მომსახურებას უწევენ ცალკე საწარმოებს და რაიონებს. არსებითად, ეს ჯერ კიდევ არ ყოფილა თბოელექტროცენტრალები ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მათ ვერ გადაჭრეს ამოცანა — ერთდროულად, ერთ-ერთ ადგილზე ... ...

მივაღწიოთ სრულ წესრიგს სახალხო მატარებლების მოძრაობაში

სახკომის გრძანება შეუსრულებელი ერთი მატარებელია და ისიც უხეიროდ მოძრაობს

რჩება

მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს გამოიცა გზათა სახ. კომისარის ამხ. ანდრეევის ბრძანება № 424—C, სახალხო მატარებლების მოძრაობის მოწესრიგების საკითხზე. ამ ბრძანების მიხედვით გამოიცა ამიერკავკ. რკ. გზის უფროსის და პოლიტგანყოფილების უფროსის ბრძანებაც. ორივე ეს ბრძანება სახადა კონკრეტულ ღონისძიებებს იმისათვის, რომ გაეუმჯობესებინათ გზაზე სახალხო მატარებლების მოძრაობა, დაეცვათ მათი მოძრაობის გრაფიკი, ალმოეფხვრათ სახალხო მატარებლების სისტემატიური დაგვიანება, დაემყარებინათ წესრიგი მატარებლებში, მოემზადებინათ ვაგონები ზამთრისათვის და სხვა. ბრძანებებში კონკრეტულად იყო ნაჩვენები გზები და ლოკომოტივებები, რომელთა საშუალებითაც შეიძლებოდა ტრანსპორტზე ამ მეტად პასუხსაგები საქმის გამოსწორება და მგზავრთა მომსახურების საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

ბრძანებები მოითხოვდა, რომ სახალხო მატარებლების სისტემატიური დაგვიანების აღმოსაფხვრელად საეჭვოლოკომოტიანი რაიონებში დაეწესებინათ მატარებლებზე ინსპექტორების, მოძრაობის რეგიონორების და სხვა უფროსი აგენტების გაყოლა, რომელთაც უნდა უზრუნველეყოთ მატარებლების ნორმალური მსვლელობა გზაში. ამიერკავკ. რკ. გზაზე სახალხო მატარებლების მოძრაობაში ყველაზე ცუდ მდგომარეობას ეკავა ნალეზა რაიონებში აქვს ადგილი და ამოტომაც მთავარი ყურადღება აქეთ იყო მიპყრობილი, ამ სპეციალურ გამყოლ პირებს უნდა ემხლებინათ ყველა ისინი, ვინც ხელს უშლიან და აფერხებენ მატარებლების ნორმალურ მსვლელობას.

რაიონის უფროსებს დავალებული ჰქონდა პირადად ედევნებინათ თვალყური სახ. მატარებლების მოძრაობისათვის, ემოწმებინათ დისპეტჩერების მუშაობა და მიეღოთ ადამჭრელი ზომები ისეთების წინააღმდეგ, რომლებიც დაუშვებდენ მოძრაობის გრაფიკის დარღვევას.

დეპოების უფროსებს ევალებოდათ შეემოწმებინათ სახალხო ორთქლმავლების მდგომარეობა და ასევე მიეღოთ გადამჭრელი ზომები ისეთი მემანქანეების წინააღმდეგ, რომლებიც ვერ იცავენ მ[illegible]ბრძანების სისწრაფის გზაში, [illegible] ორთქლმავლების კარგი ტექნიკური მდგომარეობისთვის და სხვა. მათ უნდა გადაეწყვიტეთ სახალხო ორთქლმავლების ბრიგადების შტატი და უფროსობები შეეცვალოთ უკეთესი მუშაკებით.

კონკრეტულ ვალდებულებებსვე აკისრებდა ბრძანება სავაგონო მეურნეობის უბნის უფროსებს და გზის სამეურნეო განყოფილების ვაგონების კეთილმოწყობის მხრივ.

თუ შევამოწმებთ ამ დირექტივის შესრულებას და გავსინჯავთ, როგორ სრულდება ამიერ-კავკ. რკ. გზაზე სახკომის ბრძანება ამ დასკვნამდე მივალთ, რომ სახურავეი გარდატეხა ჯერ სახალხო მატარებლების მოძრაობაში არ მომხდარა და ამგვარად ბრძანებაც შეუსრულებელია.

ამას ადასტურებს სახალხო მატარებლების მოძრაობის ანალიზი.

მაგალითად, თუ ჩვენ მატარებლების დაგვიანება ყოველ 100 მატარებელ-კილომეტრზე სექტემბერში უდრიდა 6 წუთს ოქტომბერში 8, 7 წ., ნოემბერში შემცირდა მხოლოდ 4,9 წუთამდე. ხოლო თუ ავიღებთ ჩვეულებრივ სახალხო მატარებლებს, აქ ფარეს მდგომარეობას ვხედავთ: სექტემბერში დაგვიანება შეადგენდა 9 წუთს, ოქტომბერში 7,9, ნოემბერში—7. მიღწევა, როგორც ვხედავთ, მეტად უმნიშვნელოა. ამ მაჩვენებლებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ამიერ-კავკ. რკინის გზაზე ცხრილის მიხედვით სახ. მატარებლების მეტად მცირე პროცენტი დაიარება.

სახალხო მატარებლების ცუდი მოძრაობის მიზეზი, როგორც ყოველთვის, ახლაც ისევ გზაზე მომხდარი ხშირი მარცხია. ამ მიზეზით ნოემბერში სახალხო მატარებლებმა, საშუალოდ, დღე-ღამის განმავლობაში ჯკალანებდენ 505 წუთს. შემდეგი მთავარი მიზეზი არის მემანქანეების მიერ გზაში ხელის სიწრაფის დაუცველობა, ორთქლმავლების გზაში გაფუჭება, დეპოდან ორთქლმავლების დაგვიანებით გამოშვება. ამ მიზეზით მატარებლები ნოემბერში საშუალოდ 172 წუთს იგვიანებენ დღე-ღამის განმავლობაში. შემდეგ უნდა აღინიშნოს ვაგონები, ლოკომოტივების უვარგისობა, (იწვევს ხელის შენელებას) კავშირგაბმულობის სისტემის სისუსტე, ხემაფორებთან, ხადგურებში მატარებლების ზედმეტად გაჩერება და სხვა.

ყოველივე ეს, ასე ვთქვათ „ობიექტიური“ ხასიათის მიეზეცია, რაშიაც პერსონალურად თითქოს ვერავის დასდებ ბრალს. არის ასეთი „ანუ ყობილები მატარებლების მოძრაობასთან დაკავშირებულ ცალკე აგენტებს შორის, რომ ისინი კოთხვის უმალ „ავ ხსნიან“ მატარებლის დაგვიანების მიზეზს—„მარცხი მოხდა“, „ავტომბლოკირება არ მუშაობდა ნავთლულ-აჭსტაფის უბნის, რომელიღაც გადასარბენზეო“ და სხვ., მაგრამ „ობიექტური“ მიზეზებს ჩვენ ვერ მიგიგენთ თავის გასამართლებელ საბუთად, საქმე ადამიანებია, რომლებიც განაგებენ სახალხო მატარებლების მოძრაობას, რომელთაც ნაკისრი აქვთ ამ საქმის მოწესრიგება.

როგორ იბრძვიან ისინი ამ დავალების შესასრულებლად და რას მიაღწიეს მათ ამ ბრძოლის შედეგად?—აი, როგორ დგება დღეს კითხვა.

მატარებლები ძველებურად დაგვიანებით განაგრძობენ მოძრაობას, ძველებურად დაგვიანებით იძლევიან დეპოები ორთქლმავლებს, ძველებურად უმსგავსოდ მიჰყავთ მემანქანეებს გზაში მატარებლები, ორთქლმავლების გზაში გაფუჭება ისევ ძალაში რჩება, ცალკე დისპეტჩერები ვერ იჩენენ ოპერატიულობას და არღვევენ გრაფიკს; დეპოები განაგრძობენ სახალხო მატარებლებისთვის ცატვრთო ორთქლმავლების მიცემას, რაც კატეგორიულად აკრძალულია სამხეკოების ბრძანებით და ყოველივე ამის წინააღმდეგ ბრძოლა, ნამდვილი შეურიგებელი, ბოლშევიკური ბრძოლა ამ წარმოებს. დამნაშავე პირები დაუსჯელი რჩებიან. ჰკითხეთ, მეორე რაიონის ხელმძღვანელ[illegible]ს ან რომელიმე დეპოს ან ადგურის უფროსს, ვინ დასაჯეს მათ სახალხო მატარებლის მსვლელობის დარღვევისათვის, რომელი მათგანი გამოიყვანეს საზოგადოებრივი სამსჯავროს წინაშე, ამაზე გარკვეულ პასუხს ვერ მიიღებთ. ანდა შეიძლება დაინტერესდეთ, სად, რომელ სადგურზე გამოიყენეს საზოგადოებრივი კონტროლი სახ. მატარებლების მოძრაობაზე, რამდენი ბაკონტროლო საგუშაგო ჩამოიყალიბეს ან დამკვრელი მუშების და კომკავშირელების რამდენი ბრიგადა ჩაპეს მათ ამ საქმეზე? ამის შესახებ გზის სამმართველოში გიპასუხებენ, რომ ასეთი საგუშაგოები ჩამოყალიბებულია, მაგრამ დაბარეთ ტფილისის, ბაშურის და სხვა დიდი სადგურები, იქ მსგავსს ვერაფერს ნახავთ.

ამგვარად, მდგომარეობა უცვლელი რჩება სახალხო მატარებლები ჩვეულებისამებრ ცუდად მოძრაობენ, თვით ვაგონებიც, (განსაკუთრებით ადგილობრივ მატარებლებისა) არ არის კეთილმოწყობილი. ზოგს ფანჯრის მინები აქვს ჩალეწილი, ზოგსაც არ ათბობენ, როგორც წესია. საგზურები სისტემატიურად არღვევენ ბილეთების გაყიდვის ნორმებს და საერთოდ მგზავრთათვის მატარებლებში უკეთესი მდგომარეობის შექმნისათვის ბევრს არ ზრუნავენ. ერთადერთი მიღწევა, რომელიც შეიძლება დასახელებული იქნეს, ეს არის კახეთის ხაზზე ე. წ. „მთვრალი“ მატარებლის გამოფხიზლება. ეს უსათუოდ მიღწეულია საქმეში სატრანსპორტო საზოგადოებრივობისა და კერძოდ გზის პოლიტგანყოფილების გაზეთის ენერგიული ჩარევით. მაგრამ იქაც ყველაფერი ვერ არის გაკეთებული, იყო მეორე რაიონის უფროსის ამხ. კ[illegible]ლიძის და პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. ყორეულაძის ბრძანება, რომ კახეთის ხაზზე არსებულ ბაქნების მგზავრთათვის შემოეღოთ მატარებელში პირდაპირი ბილეთების გაყიდვის სისტემა, მაგრამ ეს ღონისძიება აქამდე არ არის განხორციელებული, რაც მეტად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ბაქნებიდან მატარებლებში ასულ მგზავრებს.

სახკომის რძანების გაცემიდან საკმაო ხანმა განვლო და ჯერ დრო არის, რომ იგი გატარებული იყოს ცხოვრებაში. რაიონების ხელმძღვანელებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ და გააკეთონ ყოველფერი იმისათვის. რომ სახალხო მატარებლების მოძრაობა გამოკეთდეს ისე, როგორც ამას ამხ. ანდრეევი მოითხოვს თავის ბრძანებაში. სატრანსპორტო ორგანიზაციებმა ბოლშევიკურად უნდა მოჰკიდონ ხელი რკინის გზით მგზავრობის გაუმჯობესების საქმეს.

ა. კელენჯერიძე.

სურამის უღელტეხილს ესაჭიროება ადგილობრივი სახალხო მატარებელი *)

უკანასკნელ ხანებში მგზავრთა მოძრაობა ა-კ რკ. გზაზე და კერძოდ სურამის საუღელტეხილო უბანზე ძალიან გაიზარდა. ამის მიზეზია უბნის მოსაზღვრედ მდებარე დაბა-სოფლებში ისევ ქალაქების ეკონომიური ზრდა, მათ შორის ურთიერთობის გაჩაღება - გაფაროობა, ახალი ქარხნების გახსნა (მარელიანის ავეჯის ქარხანა, ზესტაფონის ფერო-მანგანმშენი, მოლითისა და ხაშურის ელექტროწვეის ქვესადგურები და სხვ.).

მარელისის გრეხილი ავეჯის ქარხნის გამო, ძალიან იმატა მგზავრთა რიცხვმა, მის მეზობლად მდებარე სადგურებზე (ხარაგოული, მარელისი, მოლითი, ძირული) ეს მგზავრები არიან ან ქარხნის მუშები და ქარხნის პროდუქციის მომმზარებელი, რომელიც სისტემატიურად მგზავრობენ ქარხანასა და ამ სადგურებს შორის. ასევე ხდება ზესტაფონის და მოლითის საწარმოთა მუშავების გამო. მაგრამ, თუ დავაკვირდებით მათი მომსახურების საქმეს, დავინახავთ, რომ თითქმის ყველა სახალხო მატარებელი საუღელტეხილო უბანზე ღამით გადის. დღისით მხოლოდ ერთი ბაქოთბილის საფოსტო მატარებელი დაიარება. ეს უკანასკნელი კი მეტწილად ამდენად გადატვირთული მოდის, რომ პირდაპირ ძ ხერხებელი ხდება მით სარგებლობა ჩამოთვლილი სადგურების მგზავრებისათვის, რომელნიც ზოგჯერ დღეიდან საღამომდე ელოდებიან დღის ამ ერთადერთ მატარებელს და ხშირად წაუსვლელი რჩებიან ამის გამო, რომ ბილეთები არ იყიდება, მაშინ ისინი იძულებულნი არიან გამგრძელ ლოდინი და უცადონ ღამის მატარებელს. უკანასკნელნიც არა ნაკლებ დატვირთულნი მოდიან და ჩვეულებრივად მგზავრი მხოლოდ მესამე ან მეოთხე მატარებელში თუ მოახერხებს ჩაჯდომას.

რამდენად გაადვილებული იქნებოდა მგზავრობის საქმე, რომ არსებობდეს ერთი ადგილობრივი სახალხო მატარებელი ზესტაფონ-ხაშურს შორის.

ასეთი მატარებელი გაიგზავნს საუღელტეხილო უბანს სხვა მატარებლებზე ადრე და მომსახურებას გაუწევს ადგილობრივი მიმოსვლის მგზავრებს, იგი მოემსახურება და ამით გაუადვილებს მგზავრობას პირდაპირი მომოსვლის მგზავრებსაც.

ეს ზომა უთუოდ დიდ შეღავათს მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას, მუშებს, კოლმეურნეებს და მოსამსახურეებს.

ასეთი ადგილობრივი მომოსვლის სახალხო მატარებლები არსებობს ყველგან, თითქმის მთელ მაგისტრალის სიგრძეზე ტფილის-ბათუმს შუა: ტფილისი - ურა, შორაპანი - სამტრედია, სამტრედია-ბათუმი, სამტრედია-ფოთი. საჭიროა ასეთივე მატარებლის შემოღება ხაშური-ზესტაფონის უბანზედაც.

მართალია, უბანი ხაშური-ზესტაფონი ტექნიკურად რთულ უბნად ითვლება, თუნდაც ერთი წყვილი დამატებითი მატარებლის შემოღება მის კიდევ უფრო მეტად გადატვირთვას იწვევს, მაგრამ ამჟამად საუღელტეხილო ხაზზე ელექტრომავლების მოძრაობის შემოღება და ამით უბნის გამტარუნარიანობის გაზრდა შესაძლებლად ხდის ამ ერთი მატაიებლის დამატებას. ივნვრიდან ა-კ რკ. გზ. სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს საუღელტეხილო უბანზე დაწესოს მატარებლების მომოსვლის ახალი გრაფიკი. ამ გრაფიკის მიხედვით მატარებლები უფრო მალე გაივლიან საუღელტეხილო უბანს, ვიდრე აქამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ უბანს მატარებლების გადარების უფრო მეტი უნარი ექნება.

ა-კ. რკ. გზ. სამმართველომ უნდა გაითვალისწინოს ეს ბარემოება და გაუწიოს ანგარიში მოსახლეობის საჭიროებას. ივნვრიდან ხაშურ-ზესტაფონის უბანზე გაშვებული უნდა იქნეს ადგილობრივი სახალხო მატარებელი

ამას მოითხოვს საუღელტეხილო ხაზზე მდებარე დაბა-სოფლების და ქალაქების მოსახლეობის ინტერესები.

[illegible] რკინიგზელი ქ. ხარაძე.

*) წინადადების სახით.

ტყიბულის და ჭიათურის მაღაროელებმა

დეკემბერი გამოაცხადეს მე-17 პარტყრილობის სახელობის დამკვრელ თვედ

ნაკისრ ვალდებულებათა მთლიანად შესრულება

თვითეული მუშის ღირსების საქმეა

(ჭიათურა, ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მპრგანეცის მრეწველობაში გაშალა ნამდვილი მასობრივი საწარმოო ლაშქრობა მე-17 პარტიული ყრილობის წინაშე გამარჯვებათა პატაკით წარდგომის უფლების მოპოვებისათვის. მუქრუთის საწარმოო უბნის დამკვრელების ინიციატივამ, ყრილობისათვის მზადებასა და ძირეული პარტ-ორგანიზაციის სანგარიშო-საგადარჩევო კაშპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით ახალ საბრძოლო ვალდებულებების აღების საქმეში დანარჩენი ქარხანა-მაღაროებიც გამოეხმაურენ.

თითქმის ყველა ქარხანა-მაღაროდ დეკემბერი დამკვრელ თვედ გამოაცხადა. № 33 მაღაროდ აიღო ვალდებულება — თავისი წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულოს და [illegible]ის გადამეტებით ამოიღოს 800 ტონა მარგანეცი. № 17 და № 20 მაღაროებმა შექრუთის საწარმოო უბნის დამკვრელების მოწოდების საპასუხოდ იკისრეს გეგმის გადამეტებით 1.000 ტონა მარგანეცის ამოღება. მაღარო № 36-მაც კი, რომელსაც თითქმის მთელი წლის განმავლობაში არც ერთ დღეს არ შეუსრულებია გეგმა 100 პროცენტით, უკანასკნელად გააცხოველა მუშაობის ტემპი და 6 დეკემბერს გეგმა 100,8 პროც. შეასრულა, 8-ს კი — 102,1 პროც. (7 დეკ. არ უმუშავია მექანიზმის დაზიანების გამო). № 25 და № 3 მაღაროები კისრულობენ გასული თვეების დავალიანების დაფარვას. № 3 მაიაროში წინა თვეების დავალიანების დაფარვის მიზნით, 10 დეკემბერს მოეწყო მასობრივი შაბათობა კომუნისტ-კომკავშირელებისა და უპარტიო დამკვრელი მუშების მონაწილეობით.

საწარმოო ბრიგადასა და ცალკე დამკვრელ მუშებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის და მე-17 პარტყრილობის სახელობის წითელ დროშაზე ადგილის მოპოვებისათვის, № 25 მაღაროს მოშამ, ბრიგადირმა, კომუნისტმა ამხ. ნ. ლაბაძემ მე-17 პარტყრილობის მოწოდების აღსანიშნავად აიღო კალდებულება, რომ დეკემბერში მისი ბრიგადა გეგმას 140 პროცენტით შეასრულებს, ხოლო მის პირად დავალებას 150 პროცენტით. მან სოცშეჯიბრებაში გამოიწვია მეორე ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს დამკვრელი მუშა ზ. [illegible]ძე. ასეთივე ვალდებულებები აიღეს: ვ. ყიფშიძემ (№ 3 მაღაროს დამკვრელი) გ. თაბაგარამ (№ 4), პ. მეცხვარიშვილმა, ჭ. კახიძემ და სხვ.

მხოლოდ ერთი ქარხანა - მაღარო № 11 განიცდის სისტემატიურ ჩამორჩენას, რისთვისაც ამ დროს ოიკომის მიერ დაწესებული სამარცხვინო „ჯილდო“ — ჭილოფის გარდამავალი დროშა. № 11 ქარხანა-მაღაროს ბოლშევიკებმა უნდა დაჭიმონ მთელი ძალლონე და უახლოეს დროში გაუტოლდენ მოწინავე საწარმოებს.

ახლა მთავარია ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბოლშევიკური ბრძოლის გაშლა. „არც ერთი ნაკისრი ვალდებულება შეუსრულებელი“ — ასეთი ამოცანა უნდა დაისახონ ჭიათურის ბოლშევიკებმა, რომ მე-17 პარტყრილობის წინაშე წარდგენ საწარმოო დავალებათა შესრულების საამაყო მაჩვენებლებით.

პრ. რატიანი.

5.000 ტონა ქვანახშირი გეგმის გადამეტებით

(ტყიბული, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

1930 წლიდან მხოლოდ 1933 წლის დეკემბერში ასრულებენ ტყიბულის მაღაროები ქვანახშირია ამოღების დღიურ დავალებას გადაჭარბებით. გარღვევა, რომელიც გრძელდებოდა თითქმის 4 წლის მანძილზე, გამოწვეული იყო მუშაობის მოუწესრიგებლობით და უბნებზე კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობის გაუწევლობით. ბოლო დროს, როდესაც ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მუშაობა სიმძიმის ცენტრი საკანებში, ცვლაში და ბრიგადაში გადაიტანეს, ქვა-ნახშირის ამოღებას გაუმჯობესება დაეტყო, ხოლო დეკემბერში მიღწეული იქნა თვალსაჩინო გარდატეხა. ასე, მაგალითად, თუ ოქტომბერში საშუალოდ ამოღების დღიური გეგმა შესრულება არ აღემატებოდა 38—40 პროცენტს, ნოემბრის პირველ დეკადაში იგი ავიდა 50 პროცენტამდე, მეორე დეკადაში 75 პროც., მესამე დეკადაში 85 პროცენტამდე, დეკემბრის პირველ დეკადაში კი ამოღების დღიური გეგმის შესრულება საშუალოდ უდრის 970 ტონას—გეგმის 102 პროც.

მიუხედავად ქვანახშირის ამოღების ერთგვარი გაუმჯობესებისა, ნოემბრის გეგმა მაინც ვერ იქნა შესრულებული: ნაცვლად 30.000 ტონისა ამოღებულია 22.883, გეგმის 76,3 პროცენტი.

საუკეთესო დამკვრელი, პარტიის წევრი ამხ. მამაჯანოვი (26 კომუნარის სახ. ქარხანა) აკეთებს ჩაის ღუმელ „მარშალ“-ს

ნოემბრის გეგმის შესრულების შედეგები, სხვა საკითხებთან ერთად, ფართოდ დამუშავდა 7 დეკემბერს მოწვეულ მაღაროების მუშათა მეორე ტექნიკურ კონფერენციაზე. კონფერენციამ განიხილა დეკემბრის გეგმა, რომლის მიხედვით ამოღებული უნდა იქნეს 25.000 ტონა ქვანახშირი. აქედან, ლენინის უბანმა უნდა ამოიღოს 10.000 ტონა, ხოლო სტალინის უბანმა—15.000 ტონა.

კონფერენციამ ერთხმად დაადგინა მიღებული იქნას აღნიშნული გეგმა და გარდა ამისა **წამოაყენა შემდეგი გეგმა 5.000 ტონა ქვანახშირის რაოდენობით. დეკემბერი გამოცხადებულია მე-17 პარტყრილობის სახელობის დამკვრელ თვედ.**

მუშაობის წინასწარი შედეგები მოწმობენ, რომ ტყიბულელები გაამართლებენ ნაკისრ ვალდებულებას და დეკემბერში სოციალისტური ინდუსტრიის საწარმოებს მისცემენ გეგმის გადაჭარბებით 5.000 ტონა ქვანახშირს.

გ. მერკვილაძე.

ბიბლიოგრაფია

გიოტე თუ გამსახურდია

გიოტე—„ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“—თარგმ. კ. გამსახურდიასი. გამომცემლობა „ქართული წიგნი“.

ცნობილია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტია და ხელისუფლება კლასიკოსებისადმი დამოკიდებულების საკითხს. აბატომ იყო, რომ საბჭოთა კავშირმა განსაკუთრებული პატივისცემით აღნიშნა კვირეულ 100 წლისთავი გიოტეს გარდაცვალებიდან. ბურუუაზია ცდილობს გაძლიერების ის მომენტები გიოტეს შემოქმედებაში, რომელიც ამ მწერლის ოპორტუნიზმითაა ცნობილი, გააძლიერის ესთეტიზმის და ფილისტერობის მომენტები და დაივიწყოს ის რევოლუციური განწყობილებანი, რომლითაც ხასიათდება „ფაუსტის“, „გოეცის“, და „პრომეთეუსის“ ავტორი.

მხოლოდ ბარქსისტული ლიტერატურა მოწოდებული გაფანტოს ეს ბურუსი ბურჟუაზიის ამ პროგრესიული მოაზროვნის გარშემო. ამიტომ გიოტეს ნაწარმოების ქართულად თარგმნას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. რა მოთხოვნები უნდა წაყენდეს ამ თარგმანს? თარგმანი მთლიანად უნდა გამოხატავდეს ავტორის აზრებს, მის შეფოფლმხედველობას, სტილს და მხატვრულ გემოვნებას. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ კ. გამსახურდიას მიერ შესრულებული თარგმანი — „ახალგ. ვერტერის ვნებანი“, ვერ აკმაყოფილებს თარგმანის წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს. კ. გამსახურდიას თარგმანი წარმოადგენს თარგმანის კულტურის უხეშ დამახინჯებას, რამდენადაც იგი ცდილობს აირჩიოს თვითნებური ან ყოველად გაუმართლებელი თარგმანის გზა. ალბად მთარგმნელი ფიქრობს, რომ მისი ორიგინალობა ნაწარმოებში შეტანილი ცვლილებებით უნდა გამოიხატოს. მაგრამ რას ნიშნავს ორიგინალობა თარგმნის მესრულებაში? თარგმნა სრულებით არ გამორიცხავს მთარგმნელის ორიგინალობას; თარგმნა არ არის მექანიკურ-ტექნიკური პროცესი. ორიგინალობა მთარგმნელის მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად ახლოს მიგიდა იგი გადმოსაცემ მასალასთან, რამდენად მიწვდა იგი ავტორის მსოფლმხედველობას.

რას ვხედავთ კ. გამსახურდიას „ვერტერის“ თარგმანში? როგორც ითქვა აქ, თარგმნის კულტურის და, მაშასადამე, კლასიკოსებისადმი მიდგომის უხეშ დამახინჯებასთან გვაქვს საქმე. ადამიანურად კონკრეტული ფაქტები: კ. გამსახურდიას „თარგმანში“ ორიგინალიდან გამოტოვებულია მთელი რიგი ადგილები: მაგალითად: 26 მაისის დღიურში მე-19 სტრიქონიდან აკლია ნაბეს, მუშებს, კოლმეურნეებს და მოსამსახურეებს.

ასეთი ადგილობრივი მომოსვლის სახალხო მატარებლები არსებობს ყველგან, თითქმის მთელ მაგისტრალის სიგრძეზე ტფილის-ბათუმს შუა: ტფილისი - ურა, შორაპანი - სამტრედია, სამტრედია-ბათუმი, სამტრედია-ფოთი. საჭიროა ასეთივე მატარებლის შემოღება ხაშური-ზესტაფონის უბანზედაც.

მართალია, უბანი ხაშური-ზესტაფონი ტექნიკურად რთულ უბნად ითვლება, თუნდაც ერთი წყვილი დამატებითი მატარებლის შემოღება მის კიდევ უფრო მეტად გადატვირთვას იწვევს, მაგრამ ამჟამად საუღელტეხილო ხაზზე ელექტრომავლების მოძრაობის შემოღება და ამით უბნის გამტარუნარიანობის გაზრდა შესაძლებლად ხდის ამ ერთი მატაიებლის დამატებას. ივნვრიდან ა-კ რკ. გზ. სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს საუღელტეხილო უბანზე დაწესოს მატარებლების მომოსვლის ახალი გრაფიკი. ამ გრაფიკის მიხედვით მატარებლები უფრო მალე გაივლიან საუღელტეხილო უბანს, ვიდრე აქამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ უბანს მატარებლების გადარების უფრო მეტი უნარი ექნება.

ა-კ. რკ. გზ. სამმართველომ უნდა გაითვალისწინოს ეს ბარემოება და გაუწიოს ანგარიში მოსახლეობის საჭიროებას. ივნვრიდან ხაშურ-ზესტაფონის უბანზე გაშვებული უნდა იქნეს ადგილობრივი სახალხო მატარებელი

ამას მოითხოვს საუღელტეხილო ხაზზე მდებარე დაბა-სოფლების და ქალაქების მოსახლეობის ინტერესები.

[illegible] რკინიგზელი ქ. ხარაძე.

წნორისა და მუკუზნის რკ. გზის საგზურები

აფერხებენ თამბაქოს გამოზიდვას

როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე?

თამბაქოს მოსავალი წელს დამაკმაყოფილებელი იყო, შედარებით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს დამზადებაც (აქარ სტანმა, სოფლის და ზუგდიდის რაიონებმა თამბაქოს დამზადების გეგმები უკვე შესრულეს).

თამბაქოს დამზადებასთან ერთად ამჟამად მთავარია მისი დაჩქარებით **გამოზიდვა და მრეწველობისათვის ჩაბარება.** ამ მხრივ მდგომარეობა მეტად არადამაკმაყოფილებელია.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვათავსებთ ცნობას ყვარელიდან იმის შესახებ, რომ მუკუზნის რკ. გზ-ს ადმინისტრაცია არავითარ ზომებს არ ღებულობს ვაგონების მისაღებად თამბაქოსათვის, თამბაქოს გამოზიდვა სრულიად არ სწარმოებს, ადგილობრივ (ყვარელის რაიონში) საწყობები გავსილია, ამის გამო შეწყდა თამბაქოს მიღება, რაც საფრთხეში აგდებს მოსავლის საგრძნობ ნაწილს.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაშია წნორის რკინის გზის სადგურზე, სადაც სიღნაღის და ლაგოდეხის რაიონების თამბაქო იტვირთება ვაგონებში, განაცხადის და შეთანხმების თანახმად რკინის გზას 12 დეკემბრამდე ყოველდღიურად უნდა გამოეყო წნორის წყალზე თამბაქისათვის 4 ვაგონი. 16 და 17 ნოემბერს აქ არც ერთი ვაგონი არ გამოუყვიათ და 50 ტონა თამბაქო ღია ცის ქვეშ ეყარა სამი დღე. 8 და 9 დეკემბერს მხოლოდ 1 ვაგონი გამოყვეს; 10 დეკემბერს კი ერთი ვაგონიც არ გამოუყვიათ და ღია ცის ქვეშ დარჩა 6 ვაგონი თამბაქო.

ყველამ იცის, თუ როგორი სათუთი პროდუქციაა თამბაქო და როგორ ზანს აყენებს მას ატმოსფერის ცვალებადობა; ამ-ტომ თამბაქოს ღია ცის ქვეშ დატოვება ყოველად დაუშვებელია.

რკინის გზა და კერძოდ წნორის სადგურის მუშაკები ამ გარემოებას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, და არ იბრძვიან ამ-სთვის, რომ ყოველდღიურად მიიღონ ვაგონების ა ქერო რაოდენობა და თამბაქო დაუზიანებლად ჩაბარონ მრეწველობას

ამას ბოლო უნდა მოეღოს. რკინის გზამ ყოველდღიურად უნდა გამოყოს თამბაქოს გადმოსაზიდად საჭირო ვაგონები, რომ თამბაქოს მთელი მოსავალი უვნებლად ჩაბარდეს თამბაქოს ფაბრიკებს.

ნ. ტუმალაძე.

სიღნაღმა პირველი ადგილი დაიჭირა

— ხეირიანად დავამზადოთ, კარგად შეცალოთ, გადავამუშაოთ და დროზე გავუგზავნოთ ფაბრიკებს ნედლეული—ეს არის ჩვენი მოვალეობა, ჩვენი ქვეყნის წინაშე.

ამ უდიდესი პასუხისმგებლობის შეგნებით, საქართველოს თამბაქო-ნედლეულის მუშაკთა კოლეგიებმა სოკ. კ. ბ. (ბ) ც. კ-ის და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით—1 დეკემბრისათვის გეგმით გათვალისწინებულ კალენდარული დავალებანი სავსებით შეასრულა და გადაამეტა კიდეეც. არც ერთი რაიონი არ ჩამორჩენილა. საერთოდ გვაქვს მთელ რესპუბლიკაში დამზადების კალენდარული გეგმის შესრულების 120 პროც., ხოლო გაგზავნისა—101 პროც. ასეთია მიმდინარე წლის დამამზადებელი ოპერაციების პირველი ნახევრის შედეგები, როდესაც უკვე დამზადებულია წლიური გეგმის 63 პროც. რასაკვირველია, ამას ვერ დავჯერდებთ, საჭიროა მუშობა გავაღრმაოთ, თავიდან მოვიშოროთ არსებული დეფექტები და მთელი ჩვენი ძალლონე ბრძოლა და მთავრობის მიერ მოცემული წლიური გეგმის შესრულებას მოვანდომოთ.

ამ ამოცანების გადაწყვეტის გზაზე, რასაკვირველია, დაბრკოლებებიც გვხვდება, მაგრამ ჩვენ მათ დავძლევთ. ჩვენ უნდა მოვიპოროთ მე-17 პარტყრილობისთვის ჭიათურის პატაკით წარდგომის უფლება, იმის თქმის უფლება, რომ სრულიად და ვადაზედ შესასრულეთ ნაკისრი ვალდებულებანი.

ნედლი თამბაქოს დამზადებაში გასული ნახევარი წლის განმავლობაში მოპოვებულ მიღწევათა გახსენების დროს უეჭველად უნდა აღინიშნოს სიღნაღის საგენტოს მუშაობა.

1 დეკემბრისათვის სიღნაღის საგენტოს კოლეტივმა, პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობით, საქართველოში პირველი ადგილი დაიჭირა. სიღნაღის რაიონში ჩვენ გვაქვს ორა მარტო კალენდარული გეგმის შესრულება, არამედ წლიური გეგმის 100 პროც. შესრულებაც. დამზადებულია 482 ტონა თამბაქო—გეგმის 100,2 პროც. ფაბრიკებისთვის თამბაქოს გაგზავნის ყველა დავალებაც გადამეტებით არის შესრულებული. ამასთანავე არ შეეძლება არ აღინიშნოს, რომ სიღნაღის საგენტო ნაგანიცდის საწყობებისა და მუშა-ხელის დიდ ნაკლებობას. ყველა ზემოხსენებულ მოღწევათა გარდა უნდა ეთქვას ისიც, რომ რაიონმა საუკეთესოდ დაამუშავა თამბაქო და შექმნა სტანდარტი. ამის შემწეობით მოვალეობენ ბრრწყინვალე ასორტიმენტს და თამბაქოს მაღალი ღირსება უზრუნველყოფილია.

სიღნაღის რაიონის ყურადღება ახლა, წლიური გეგმის სრულიად და ყველა სახეობრივ მაჩვენებელთა დაცვით შესრულების შემდეგ—მოპოებულია გეგმის გადაჭარბებით შესრულებაზე.

სიღნაღის მაგალითის უნდა მიბაძოს მეთაბაქეობის ყველა რაიონმა და სოციალისტური შეჯიბრების შედეგად კიდევ უკეთესი მაჩვენებლები მოგვაროს.

თამბაქოს გამოსაზიდად ვაგონებს არ იძლევიან

(ყვარელის რაიონი)

თამბაქოს მოსავალმა ყვარელის რაიონში წელს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პირველ ხანებში დამზადებაც „წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ უკახასკნელ ხანს „თამბაქონედლეულის სარაიონო განყოფილება, საწყობების უქონლობის გამო, იძულებული გახდა შეეწყვეტა თამბაქოს მიღება კოლმეურნეობებისაგან. დამამზადებელი პუნქტების განკარგულებაში მყოფი საწყობები უკვე კარგა ხანია გაივსო.

დამზადებული თამბაქოს გამოზიდვა შეფერხებულია იმის გამო, რომ მუკუზნის რკინის გზა (სად. მუკუზანი) ვაგონებს არ იძლევა. მუკუზანის სადგურის უფროსი აცხადებს, რომ მას არავითარი განკარგულება არა აქვს თამბაქოსათვის ვაგონების გამოყოფის შესახებ.

დეკემბრის განმავლობაში ყვარელის რაიონმა უნდა დამზადოს 72 ტონა თამბაქო. საწყობების და ბარდანების უქონლობის გამო ამჟამად დამზადება სრულიად შეჩერებულია. კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს, სათანადო შენობების

დამპალი ლიბერალიზმის ერთი მაგალითი

პარტია თვითეული თავისი წევრისაგან მოითხოვს რევოლუციური სიფხიზლის გამახვილებას ნილაბ-აფარებული კლასობრივი მტრის ყოველგვარი მოქმედების წინააღმდეგ. „ის ვერცერთ კომუნისტს ვერ აპატიებს სიფხიზლის ოდნავ მოდუნებასაც კი.

სამწუხაროდ, ეს გარემოება საკმაოდ არა აქვს შეგნებული ცალკეულ ხელმძღვანელ მუშაკებს, ზოგჯერ კი თვით საკონტროლო კომისია - მუშგლეხინის რაიონულ ორგანოებსაც; ამის მაგალითია ქუთაისის რაიონის საკონტროლო კომისია - მუშგლეხინის დადგენილება, რომელიც მიღებულ იქნა „კომუნისტის“ რედაქციის მიერ გადაგზავნილი კორესპონდენციის გამოკვლევის საფუძველზე.

კორესპონდენციის ავტორი წერდა, რომ ქუთაისის რაიონის სოფ. ქვედა გეგუთის კოლმეურნეობა „ოქტომბრის“ გამგეობაში თავმოყრილია უცხო ელემენტები. კულაკების დაცვა, მათი მოღება არტელში, ვაჭრებისათვის ხელის შეწყობა, კოლმეურნეობის ქონების გაფლანგვა, ლოთობა, ხულიგნობა — აი ბრალდებები, რომელსაც უყენებდა წერილს ავტორი ქვედა გეგუთის კოლმეურნეობის მესვეურებს.

„კოლმეურნეობის თავმჯდომარეს,—ვკითხულობთ ქუთაისის რაიონის საკ. კომისია - მუშგლეხინის ზემოაღნიშნულ დადგენილებაში,— ბ. ხერაპეონ წიქორიძეს, პარტიის წევრს 1926 წლიდან, კოლმეურნეობის არტელ „ოქტომბერის“ საკოლმეურნეო უჯრედის წევრს (პარტბილეთი № 0858634), გამოეცხადა სასტიკი საყვედური იმისათვის, რომ მან ვერ გაძო ჩინა კლასობრივი სიფხიზლე, მიიღო კოლმეურნეობაში კულაკები, კავშირი დაიჭირა კერძო ვაჭართან, გასცა უკანონოდ მიწები კერძო მეურნეებზე, ითმენდა ლოთობას კოლმეურნეთა შორის, კერძო საჭიროებისათვის გამოიყენა კოლმეურნეობის თანხები, შეკრიბა გლეხობაში ფუთობით „სესხად“ სიმინდი და მიყიდა რიონჰესს საბაზრო ფასებში თავისი ვალის დასაფარავად, მიღებული აქვს 9.155 მანეთის გაუფორმებელი საბუთები. კოლმეურნეობის კომუჯრედის მდივანს ამხ. ილიკო ტრაპაიძეს, პარტიის წევრს 1931 წლიდან, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური იმისათვის, რომ მან წაიღო ერთი ათასი მანეთი კოლმეურნეობიდან ყოფილ იაჩრისათვის გადასაცემად და მისცა მას მანდატი, ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია კოლმეურნეობაში არსებულ უმსგავსობას“.

ამ ამოიწერიდან ნათლად ჩანს, ორი რამ: ერთი ის, რომ კორესპონდენტს მიერ მხილებული ბოროტმოქმედება დადასტურდა, მეორე ის, რომ რაიონულ საკ. კომისიამ თვით ვერ გამოიჩინა საჭირო პოლიტიკური სიფხიზლე და დამნაშავეებს რბილად მოეპყრა. ქუთაისის საკონტროლო კომისიამ არსებითად მ. აფუჩერა წ. ქორიძის და ტრაპაიძის მძიმე დანაშაული, სათანადოდ არ შეაფასა იგი.

„კომუნისტის“ რედაქციას, რასაკვირველია, არ შეეძლო დაკმაყოფილებულიყო ქუთაისის საქალაქო საკონტროლო კომისია - მუშგლეხინის ასეთი დადგენილებით და ამიტომ ამ დადგენილებას შეეცლისა და დამნაშავეთა მიმართ მკაცრი ზომების მიღებისათვის საკითხი გადატანილი იქნა საქ. ც. ს. კ.-მუშგლეხინში.

საქ. ც.ს.კ. პრეზიდიუმმა და მუშგლეხინს კოლეგიამ შესცვალა **კოლმეურნეობა „ოქტომბრის“ გამგეობის საქმეზე ქუთაისის საქალაქო საკონტროლო კომისია - მუშგლეხინის მიერ გამოტანილი დადგენილება.**

ამხ. ივანე ახალაძის ხსოვნას

8 დეკემბერს, ულმობელმა სენმა ჩვენ რიგებიდან გამოგვტაცა სოფლის მეურნეობის ერთერთი საუკეთესო სპეციალისტი, სოციალისტური მშენებლობის დაუღალავი მუშაკი და აქტიური მშენებელი ამხ. **ივანე ახალაძე.**

ამხ. ივანე (ვანიჩკა) გიორგის ძე ახალაძე დაიბადა 1901 წელს სოფ. ფერსათში (ბაღდათის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. ქუთაისში საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ამხ. ივანე 8 წლის განმავლობაში მსახურობდა ბაღდათის რაიონში სასკოლო მშენებლობის ფრონტზე.

1924 წელს, ამხ. ივანე მიღებულ იქნა საკონტროლო კომისიის - მუშგლეხინის ცენტრალურ სახელოსნოში, მაგრამ იქ მუშობა პრიმიტიული წესით სწარმოებდა და შეკეთების ხარისხი მაღალი არ იყო.

შინების სარემონტო სადგურის გახსნა დაესწრენ მრავალი სატრანსპორტო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მისასალმებელი სიტყვებით გამოსულმა ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს „ავტორემსნაბის“ ხელმძღვანელთა დამსახურება საქართველოს ავტოტრანსპორტის წინაშე აღნიშნული სადგურის მოწყობით. „ავტორემსნაბმა საქმეზ ტრანსის უშუალო დახმარებით შესძლო საფინანსო საშინი მასალების მიღებულად 18 დღით — რუ შეესრულებია პარტიისა და ხელისუფლების დავალება და 1934 წლის იანვრის მაგერ 1933 წლის 12 დეკემბრიდან აემუშავებია აღნიშნული სადგური. „ავტორემსნაბი“ და საქმეზ-ტრანსის პარტიული ორგანიზაციები ენერგიულად ჩაუდგნენ მუშობას სათავეში, მათ პროფორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყვეს მუშთა მასეს-ს ყურადღების მობილიზაცია სადგურის მშენებლობის გარშემო და ამგვარად მიაღწიეს ამ დ დნშვნელოვან გამარჯვებას.

„საშინის სხდომაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ — საქმეზ-ტრანსის, შოფერების გაერთიანებული ადგილკომის, ავტომუშაკთა პროფკავშირის, „სოიუზტრანს“ მთავარი სახელოსნოების და მთელი რიგი სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მშენებლობ ს და სამონტაჟო სამუშაოების ვადაზე 18 დღით ადრე დამთავრებისათვის დაჯილდოებულ იქნენ საუკეთესო დამკვრელები — შინებ ს სარემონტო სადგურის მშენებლობის მუშარმოებელი ინჟ. **ირ. ჩიქოვანი** — 800 მანეთით, სამონტაჟო სამუშაოთა მწარმოებელი ტექნიკოსი — **მიხ. ივანოვი** ერთი თვის ხელფასით, მშენებლობის დამკვრელი მუშები — **აკოფოვ, ბაიდაკოვი და კუხიანძე** — თითოეული ხელფასით და მადლობით დაჯილდოდნენ. მშენებლობ ს პარტუჯრედის მდივანი — ამხ. **ივანოვი** — სამადლობელი სიგელით და „ავტორემსნაბის“ დირექტორ ს მოადგილე — **ინჟ. ვალიანსკი** მადლობა გამოცხადებით.

ამასთანავე ავტოტრანსპორტის მუშაკთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა „ავტორემსნაბის“ დირექტორის — **ამხ. ინჟენერ ივანეს** ერთი საგზავრო ავტომობილით დაჯილდოვების შესახებ.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. კომისარიატის

„ბაიერ-კავკასიის რკინის გზაზე თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულზე წყლის მოვარდნასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“

„ბაიერ-კავკასის რკინის გზაზე თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულზე წყლის მოვარდნასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ა.-კ. სხლრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების შესაბამისად („ზარიოეოსტოკა“-ს 1933 წ. № 282) საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენს:

1. დაეკვალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს, კოლექტიურ მეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს — გაუწიონ დახმარება ბაიერ-კავკასიის რკინის გზას — უპირველესად ბაკი ორგან ზაციებთან შედარებით თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულზე წყლის მოვარდნასთან ბრძოლისათვის საჭირო მუშა-ძალის და ჯანმრთელობის - ძალის მოგროვების საკმეზე.

2. დაეკვალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს, სასოფლო საბჭოებს და კოლექტიური მეურნეობების გამგეობებს — გამოაყოფ პასუხ სტალინური პირნი მუშა-ძალის მოგროვების საქმეში დახმარებ სათვის და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხელშეკრულებით შეპირებული კოლმეურნენი და ერთპიროვნული ეკონომიები თავის დროზე გამოვიდნენ თოვლიან ბრძოლისათვის,

3. დაეკვალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს — იმ მემთხვევაშ, როდესაც თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულზე წყლის მოვარდასთან ბრძოლის სავსებით უზრუნველყოფა მუშა-ძალის და ჯანმრთელობის - ძალის მოგროვების წესით შეუძლებელია,—გაუწიონ ბაიერ-კავკასის რკინის გზების უფროსობა და სამსახურო ბ ს და დისციპლინის უფროსობა მოთხოვნილებისამებრ, ადგილობრივი მოსახლეობა შრომისა და ჯანმრთელობის ბეგარაზე.

4. მე-3 მუხლში აღნიშნული შრომისა და ჯანმრთელობის ბეგარა ჩაჩარებულ უნდა იქნეს „სტრეიფერ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარ ს დაწესების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1933 წ. მა სის 13-ის დადგენილების შესაბამისად (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი. მუხ. 127 და 1933 წ. №-12 №-ი. მუხ. 166); ამასთანავე, გაუწიეს მუშა-ძალას უნდა მიეჩინოს საბინაოები, ხოლო საზიდავებს სადგომი ადგილები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს თავ-რე მგალობლიშვილი
საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს საქმეთა მმართველ ს მოადგილე თადიშვილი

1933 წ. დეკემბრის 13
ქ. ტფილისი

ქრონიკა

ამხ. რაამოვის გამოგონება

საქ. ცაკის შენობის მორგე კომენდატმა ამხ. რაამოვმა გამოგონა მარტივი მოწყობილობა, რომელიც რევოლვერს იცავს მოპარვისაგან. ეს მოწყობილობა უკეთდება რევოლვერის ბუდეს. გამოგონება მოწონებულია საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულ გამოგონებათა კომიტეტ-ს მიერ და გადაგზავნილ ა დასამტკიცებლად ლენინგრადში.

16 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, მწერალთა სასახლეში (შიჩაბლის ქ. 13) შედგება ამხ. **მაკარ ხუბუას** მოხსენება თემაზე: „**უახლეს სპარსულში მხატვრული პროზის სოციალური დახასიათების საკითხისათვის**“. (ჯემალ-ზადე — „იყო და არა იყო რა“).

მარგანეცი

12 დეკემბერს მარგანეცის ამოღების გეგმა შესრულდა 86,1 პროც. გარეცხვის—65,7 პროც.

	ამოღება (ტონობ.)			გარეცხვა (ტონობ.)		
	დავალება	შესრულება	%	დავალება	შესრულება	%
სულ	4.316	3.715	86,1	2.169	1.425	65,7

ციკლი

15 დეკემბერი 12 ამბ. 7 წარ — **გოშმანის ზღაპრები**
16 დეკემბერ 4 ამბ. 7 წარ — **ევილიეს დალაქი**
17 დეკემბერ ამბ. 7 წარ — **ევგენი ონეგინი**

ამბონენტები ოთხლეტაბაკ ადამდილი არ ეძენ ბ ... ოგი (მე 5) შეაატაი 1 დღით ადრე თავის წარმოდგ ... ამდე, ჭარგალ სპექტაკლზე დასწრების უფლებას და მ ... თი ადილი გაიყიდება. 998

ბ ... ბ ... ბ ... ბ ... ბ ...

15 დეკემბერს სტუდ. ამ. 8 3 წ.	17 დეკემბერს 11 ამბ. 3 წარ	18 დეკემბერს 13 ამ. 3 წარ
in drannos	ზაგმუკ	ზაგმუკ

20 დეკემბრიდან მე-4 ... ... 2 საათამდე
... 11—/. ... 9 ... დასაწყისი 8 ...

ბ ... ბ ... ბ ... ბ ... ბ ...

15 დეკემბერ 15 ამბ. 2 წარ	16 დეკემბერ 9 ამბ. 3 წარ	17 დეკემბერ 2 ამბ. 3 წარ
...	...	...

დასაწყისი ... 11 ... 2 ...
... 9 ... ამბონენტებ ... 25-მდი ... მე-4 ...

ბ ... ბ ... ბ ... ბ ... ბ ...

ბ ... ბ ... ბ ... ბ ... ბ ...

ოქტომბერი—ბ ... 7-30, 9, 1 ...	პოლოვი და ბატალოვი მხატ სურათში ცოლი
... 7-30, 8-30, 10-30	... სურ. **რაფაელ ... ...**
... 7-30, 9, 10-30	... **ბ ... ...**
... ლიუბლიმბურგის ... 7 ... 9, 10-30	... **ბ ... ...**
... -30, 8-30 1 ...	... **ბ ... ...**
... 30, 8 15.	...
... 9	...
... 2 და 2 ...	...
... ლიუბლიმბურგის ... 1 ... 1-30, 3	...

„ცენტროლიტი“-ს საფ. საქ. სკოლაში გახსნილია მოწაფეების მიღება ქარხანა „ცენტროლიტი“-ს

კადრების მოსამზადებლად

სწავლების ხანგრძლივობა გაანსაზღვრულია 6 თვიდან 1 წლამდე. მოწაფეები უზრუნველყოფილი იქნებიან ხელფასით გარდა ამისა სკოლასთან არის: საერთო საცხოვრებელი, სასადილო დ. მ. პ. (მომარაგება 1 ლი კატეგორიით) საპარიკმახერო, კლუბი და კინო.

პირობების დაკვრილებით გაგება შეიძლება: ბებელის ქუჩა ნი 3 (ამ. კამოს სახელობის ყოფ. საფ. საქ. სკოლა).

3—1 ნ 526 **დირექცია.**

1933 წ. 20 დეკემბერს ქალ. **ბათუმში მოწვეულია** დაინტერესებულ ორგანიზაციების, **სუბტროპიკულ** მეხილეობის სპეციალისტების და გამოცდილ კოლმეურნეთა

გაფართოებული თათბირი

ციტრუსების და დანარჩენ სუბტროპიკულ მეხილეობის კულტურების და სანერგეების აგროწესების დამუშავების შესახებ

ითხოვთ ... ...